„სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი“

თამთა თავდიშვილი

„ფსიქოსომატური მოძრაობების მნიშვნელობა თანამედროვე სპექტაკლების დადგმის პროცესში“

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია თანამედროვე სპექტაკლების დადგმის პროცესში მსახიობის ფსიქოსომატური მოძრაობების მნიშვნელობა და მათი როლი საშემსრულებლო პედაგოგიკაში. კვლევის ძირითადი მიზანია სამსახიობო სწავლების ისეთი მეთოდოლოგიური მიდგომების შესწავლა, სადაც ფიზიკური ექსპრესია და შინაგანი ფსიქო-ემოციური მდგომარეობა ერთიან სისტემად აღიქმება. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ ფონზე, როდესაც თანამედროვე თეატრალური ენა სულ უფრო მეტად ინტერესდება სხეულის გამომსახველობითი შესაძლებლობებით.

ნაშრომის თეორიულ ნაწილში გაანალიზებულია წამყვანი თეატრალური სისტემები და ისეთი სომატური თუ მედიტაციური პრაქტიკები, როგორიცაა ფელდენკრაისის მეთოდი და კუნდალინის მედიტაცია. ემოციაზე ფოკუსირებული თეორიული მოდელების მოშველიებით, ნაშრომში შესწავლილია შინაგანი განცდების ფიზიკურ იმპულსებად გარდასახვისა და კუნთოვანი მეხსიერების ფორმირების მექანიზმები.

კვლევის პრაქტიკული ეტაპი ეყრდნობა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე განხორციელებულ საექსპერიმენტო

ლაბორატორიასა და სპექტაკლს „ადამიანის ტრაგედია“. შემოქმედებითმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ ფსიქოსომატური სავარჯიშოების ინტეგრირება საგრძნობლად უწყობს ხელს სხეულებრივი დაჭიმულობის მოხსნას, სცენური შფოთვის შემცირებას და პარტნიორებს შორის არავერბალური კომუნიკაციის გაუმჯობესებას. ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია ოთხსაფეხურიანი სასწავლო მოდელი, რომელიც სარეჟისორო და სადადგმო მუშაობის პროცესში მსახიობის ფიზიკური აღზრდის ეფექტურ პედაგოგიურ ინსტრუმენტს წარმოადგენს.